№ 270
ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 270
ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თავ. გიორგი მიხეილის ძე თაქთაქიშვილი, კნიაჟნა თამარა მიხეილის ასული თაქთაქიშვილი და კნ. პელაგია ტუსიშვილისა დიდის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი ორი — ძმისა, ხოლო მესამე—ძმის შვილის-შვილისა

თავ. დავით მიხეილის ძის თაქთაქიშვილისას,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 18 დეკემბერს, დილის 8 საათზედ, თუმანოვის ქუჩ., საკუთარ სახლში, № 21, საიდგანაც მიცვალებულის გვამს სოფელ ქვემო-ხვითში წაასვენებენ დასაკრძალავად. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ. (1—186—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს,

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

აირია მონასტერი

კომედ. 3 მოქ. გადმოქარ. დ. ერისთავის მიერ.

II

მეხუთე მოქმედება შილლერის ტრაგედიიდგან

ყაჩაღები

ფრანც მოორის როლს აასრულებს ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი

დასასრულ

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

ხანუმა

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—6)

დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

იყიდება: უმშვენიერესი საწუქრები დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად, სამწერლო მაგიდებისა, კუთხეებ ს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე იყიდება მრავალგვარი აბრეშუმეულობა და ფანზა ჩინეთისა (თეთრეულებისათვის).

იყიდება ამრეთვე შეკერილი ხალათები. ფუჩები და სხვ.

დოლის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(—ნ. —5)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1—1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ტ. ბურჯი. $1^{1}/_{4}—2^{1}/_{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^{1}/_{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ორშაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, ტფილისის „სობრანიეში" გაიმართება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ

სალიტერატურო და სამუსიკო

საღამო,

რომლის შემდეგ იქნება ცეკვა.

ბილეთები გაიყიდება კნ. ო. თ. ჭავჭავაძისას, საზოგადოების კანცელარიაში და „სობრანიის" შვეიცართან. (5—უ.—2)

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით კავკასიის მთავარ-მართებლის საკანცელარიო საქმეთა მე V კლასის მოხელე, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი, სტატსკი სოვეტნიკი თავ. მელიქიშვილი, რადგანაც იგი სამონასტროში იქმნა ჩათვლილი.

⁂

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 17 დეკემბერს, ნიჭიერის არტისტის ვ. აბაშიძის საბენეფისოდ, ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული თავად-აზნაურთა თეატრში. წარმოადგენენ სამ-მოქმედებიან კომედიას „აირია მონასტერი"-ს, შილლერის „ყაჩაღების" მეხუთე მოქმედებას და ცაგარლის კომედიის „ხანუმას" მესამე მოქმედებას. ამ საღამოს წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ნიჭიერნი მსახიობნი ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ბ-ნი მესხიშვილი შეასრულებს ფრანც მორის როლს „ყაჩაღებიდგან.

⁂ გუშინ წინ, 15 დეკემბერს, სახელმწიფო თეატრში მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ ორბელიანის მეცადინეობით, საოპერო წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოდგენას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი და დიდი საზოგადოება.

⁂ 15 დეკემბერს ტფილისის ქალაქის მოურავმა გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება გამგეობის წევრებად თავ. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნ შესტაკოვის არჩევანების შესახებ.

⁂ 12, 13 და 14 დეკემბერს, „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის" აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორის ე. ვ. მამინაიშვილის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ამ საზოგადოების ბლაღოჩინებს. კრებამ დაადგინა: 1, გამართოს საზოგადოების არსებულ სკოლებთან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებანიც; 2, რადგანაც ყველა მრევლში სკოლის დასაარსებლად საჭირო თანხა არ მოიპოვება, სთხოვოს საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა აღძრას კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ საეროობო თანხიდგან იქმნას გადადებული ფული სამრევლო სკოლების დასაარსებლად; 3, რადგანაც საუკეთესო მასწავლებელნი თანახმანი არ არიან მთაში მასწავლებლობისა, სთხოვოს საბჭოს მოუმატოს ჯამაგირი იმ მასწავლებელთ, რომელნიც მთაში იმსახურებენ და გარდა ამისა საზოგადოების ხარჯით აღზრდილ იქმნას იმ მასწავლებლის ერთ-ერთი შვილი, რომელიც ათს წელიწადს იმსახურებს საზოგადოების სკოლებში; 4, სთხოვოს საბჭოს დაწესებულ იქმნას სხვა-და-სხვა სასულიერო სასწავლებლებსა და სასოფლო-სამეურნეო სკოლებში 20 სტიპენდია გორისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებისა და ხევსურეთისა და სვანეთისათვის; 5, სავალდებულოდ გაჰხადონ განათლებულ მღვდელთათვის ეკკლესიაში ქადაგებების წარმოთქმა; 6, რათა განათლებული მღვდლები მიიზიდონ მთაში სამსახუროდ, სთხოვოს საბჭოს, რომ მღვდლებს წელიწადში 600 მანეთი ჯამაგირი დაენიშნოს და დაჯილდოევბის დროს, მთაში მოსამსახურე მღვდლებს, უპირატესობა მიეცეს.

⁂ საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ ქალაქის გამგეობასთან ერთად უკვე შეიმუშავა მოხსენება ქ. ტფილისის ელექტრონის განათების შესახებ. ეს მოხსენება ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად ერთ-ერთს მახლობელს კრებაზედ.

⁂ 15 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება დაიწყო ერთს უცხო-ქვეყნელს ამხანაგობასთან, რომელიც კისრულობს ქ. ტფილისის ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლას. ამხანაგობას აზრადა აქვს უმთავრესი ქუჩა მოკირწყლოს განსაკუთრებულის ქვით, რომელსაც მცირე აზიიდგან მოიტანს. ამხანაგობა თანახმაა ქალაქმა 10 წლის განმავლობაში გარდაიხადოს ფული.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნმა რიპინსკიმ მიიღო პეტერბურგის ოლქის სასამართლოსაგან საქმე კ, პლიუშჩევსკისა, რომელსაც თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა ბრალი დასდო, სიყალბე ჩაიდინაო. საბუთის ქაღალდი პეტერბურგის ოლქის სასამართლოში იქმნა გაგზავნილი საექსპერტიზოდ. ექსპერტებს უცვნიათ, რომ განსვენებულ თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის ხელ-მოწერილი ამ საბუთის ქაღალდზედ ნამდვილია და არა ყალბიო.

⁂ ამ დღეებში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესიამ განიხილა ბათუმში საქმე აზნ. გიგინეიშვილისა, რომელსაც თავ. მელიქიშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა. მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ბათუმში „იმპერიალის" სასტუმროში თავადთ მელიქიშვილსა და გურიელს ლაპარაკი მოუვიდათ, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა მელიქიშვილი. სასამართლომ გიგინეიშვილი გაამართლა.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ საქმე ქუთაისის პოლიციის მოხელის ახვლედიანისა, რომელსაც ოლქის სასამართლომ ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტა, ხოლო ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაამართლა. პალატის ბრალმდებელის ამხანაგმა ა. ადიგეზალოვმა პალატის დადგენილება განასაჩივრა სენატში. როგორც ეხლა გვაუწყებენ, სენატს სამართლიანად არ უცვნია ეს განსაჩივრება და უყურადღებოდ დაუტოვებია.

⁂ როგორც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ანგარიშიდგანა სჩანს, 1897 წ. ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაზედ კომიტეტს დაუხარჯნია 133,000 მანეთი, აქედგან 2000 მანეთი დაურიგებია იმ მემამულეთათვის, რომელთა ვენახებიც ასჩეხეს. ანგარიშიდგანვე სჩანს, რომ ამ წელს ამერიკულის ვაზის სანერგედგან გაუტანიათ 185 ათასი ვაზი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის მახლობლად „ღრმაღელეში" ტფილისის ზოგმა მცხოვრებმა, უმთავრესად მოხელეებმა, შეიძინეს მიწები და აგარაკის გაშენებას შეუდგნენ. ღრმა ღელეები ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რადგანაც იქ არც პოლიციაა და არც ისეთი რამ დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს საქმეები განაგოს. ამის გამო ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის გუბერ-

ნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ,,ღრმა-ღელეს'' პოსადის ქუჩებანი მიენიჭოს და დაერქვას სახელად ,,ნიკოლაევი''.

⁂ როგორც, უთუოდ მკითხველებს ეხსომებათ, ამ ექვსის წლის წინად ქუთაისის გუბერნიის სოფ. დიდ-ჯიხაიშში, ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის მეცადინეობით, შესდგა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა ჰქონდა მინდვრების მოსარწყავად არხების გაყვანა მდინარე ცხენის-წყლიდგან. ამხანაგობას მიემხრნენ სოფელ ხონის, ივანდიდის, ჯიხაიშის, გუბის და სხვათა მცხოვრებელნიც. ეხლა უკვე გაუყვანიათ ერთი დიდი, უმთავრესი, არხი და ხუთიც სხვა პატარა.

⁂ ქუთაისი. 13 დეკემბერს აქაურის საქალაქო თეატრის დარბაზში სცენის მოყვარეთ ქ ნ ჩხეიძისა და ბ ნ ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოადგინეს ბან კ. მესხის გადმოკეთებული დრამა „თამარ ბატონიშვილი“. იმის მიუხედავად, რომ სთოვდა და ცუდი დარი იყო, წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ-ნ ჩხეიძისამ (თამარი) და თავ. მიქელაძემ (ელიზბარი). კარგი იყო თავ. მიქელაძე „საპატიმროში“. არტისტმა ნიჭიერად დაგვიხატა მწუხარებაცა და სიხარულიც შვილის ნახვის დროს. კარგი იყვნენ აგრეთვე ქ-ნნი ლორთქიფანიძისა (რუსუდანი), წულუკიძისა (ელისაბედი), ბ-ნი ჩარკვიანი (შალვა), წყალტუბელი (ლაშა გიორგი) და ცხინვალელი (ივანე არღუთაშვილი). არა უშავდათ რა დანარჩენ მოთამაშეებსაც. მშვენივრად ითამაშეს ლეკური ქ-ნ მირიანოვისამ და ბ-ნმა გაბაშვილმა. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ანსამბლს ყველაფერი ხელს უწყობდა.

დიდის მადლობის ღირსია პატივცემული გამგე წარმოდგენისა ქ-ნი ეკ. ნიკოლაძისა, რომელიც ეს მეორეჯელ მართავს სახალხო წარმოდგენას ამ სეზონში. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქ-ნი ქორქაშვილისა, გრიგოლია და ყველა, ვინც-კი ცოტად თუ ბევრად მონაწილეობა მიიღო ამ კეთილს საქმეში.

⁂ სოფ. ვარდისუბანი, (თელავის მაზრა). ოთხი წელიწადია, რაც ვარდის უბანში არსებობს სამრევლო-საეკკლესიო სკოლა, სადაც მასწავლებლობას დროებით მედავითნე ასრულებს. განვლილმა ხანმა აშკარად დაგვანახვა, რომ სკოლას წინმსვლელობა არაფერში არ დაეტყო. სოფლელთ არა ჰსურთ ახალის მცოდნე მასწავლებლის მოწვევა. ეს გარემოება-კი იმით აიხსნება, რომ მედავითნე-მასწავლებელმა ვერ დააკმაყოფილა ცოტად თუ ბევრად მათი მოთხოვნილება: გლეხი-კაცი კარგად ჰხედავს, რომ იმისი შვილი ვერაფერსა სწავლობს. ან-კი რა უნდა ისწავლოს, როდესაც თვით მასწავლებელმა არ იცის რა არის „პედაგოგიკა“, საჭმელია თუ სასმელი. ამას წინად ეს მედავითნე ვარდისუბნიდგან სხვა სოფელში გადაიყვანეს. რადგანაც სოფლელთ არა ჰსურთ კერძო მასწავლებლის მოწვევა, აშკარაა იმის თანამდებობას ისევ მედავითნე შეასრულებს, ამიტომ სასურველია ისეთი კაცი იქმნას დანიშნული, რომელსაც ცოტა რამ მაინც ესმოდეს მასწავლებლობისა.

⁂ განჯა. განჯელი ქართველობა, დიდი და პატარა, დღეს „ქართულ საღამოს“ შესახებ ფიქრობს, რომელიც ამ ახლო მომავალში იქმნება გამართული განჯაში. ადგილობრივი ქართველი საზოგადოება უკვე შეიკრიბა ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად ბ-ნ ნ. ბაქრაძის სახლში და აარჩია კიდეც „საღამოს“ გამგეებად ქ ნი ელენე აბულაძისა, ბ ნნი ალ. სარაჯიშვილი, ნ. ბაქრაძე და ვ. ჯაფარიძე. იმედია, გამგენი საღამოსათვის მოიწვევენ ჩვენს საუკეთესო მსახიობთ, მგალობელთა გუნდს და მოთამაშეებს, რომელთაც არა გვგონია, გზის ხარჯის გარდა, სხვა სასყიდელი მოითხოვონ, რადგანაც ეს საღამო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იმართება.

რკინის გზაზედ მოსამსახურე ქართველები დიდად გაახარა იმან, რომ აქ გადმოყვანილ იქმნა მღვდელი მამა ესტატე მირიანაშვილი. პატივცემული ძოძღვარი ძლიერ მოწადინებულია განჯაში ქართული საეკკლესიო ხორო დააარსოს. ამის შესახებ კიდეცა ჰქონდა მოლაპარაკება: აწინდელი ხორო თუმცა რუსებისაგან შესდგება, მაგრამ ხანდახან ქართულ საგალობლებსაც ამბობს ხოლმე, როგორც, მაგალითად, ,,უფალო შეგვიწყალე''-ს, ,,შენ უფალო''-ს, ,,მოგვმადლე''-ს და ,,წმინდაო ღმერთო''-ს, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსია როგორც თვით კეთილი მოძღვარი, ეგრეთვე ლოტბარი ბ-ნი ალ. ლოზოვოი.

⁂ თიონეთის მაზრის სოფ. ახმეტის გლეხის ცოლმა მართა ფარსიაშვილმა მოჰკლა ახლად დაბადებული თვისი ბავშვი.

⁂ თელავის მაზრის სოფ. ყვარელში, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს ადგილობრივის გლეხების ნიკო მებზევიშვილისა და სიკო ონოფრეშვილის თივას.

⁂ სიღნაღის მაზრაში, ანაგის მცხოვრებელმა სიკო სულიკაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა თავისავე სოფლელი სულიკაშვილი.

⁂ ქალაქ გორში თომაშვილმა ჩხუბის დროს დანით ოთხს ადგილას მუცელში დასჭრა პოლიციელი დურული.

⁂ გორის მაზრაში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს სოფ. სკრის მცხოვრებლების სტეფანე და ესტატე მშვიდობაძეების საბძელს. ზარალი 500 მანეთი იქმნება.

⁂ 15 დეკემბერს, დილის 3 საათზედ, ასათიანის ქუჩაზედ, ტატიშვილის სახლს ბუხრიდგან ცეცხლი წაეკიდა. თუმცა ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ზარალი მაინც 6,000 მანეთამდეა.

⁂ გორი. 15 დეკემბერს, დილის ათ საათზედ, სოფ. მეჯრუხევიდგან მარხილი მოდიოდა, რომელშიაც ოთხი ცხენი ება. ცხენები დაფრთხნენ და მეეტლე ბევრს ეცადა, მაგრამ დაღმართი იყო და ვერ შეიმაგრა. მარხილში ხუთი კაცი იჯდა და ერთი ბავშვიანი დედაკაცი. ერთი კაცი იქვე თოვლში გადისროლა; ცოტა იქით დედაკაციც გადმოვარდა და საცოდავი ძუძუთა ბავშვი შორს თოვლში გადავარდა. იქიდგან გამოტაცებული მარხილი პირდაპირ წმინდა წყლისკენ გააქანეს ცხენებმა. წმინდა წყალთანაც ერთი კაცი გადისროლა. ბავშვი გულწასული ამოიყვანეს თოვლიდგან; სხვები მცირედ დაშავდნენ. გორი ისევ უხიდოდ და უბორნოდ არის, რადგან 14 დეკემბერს, ღამით, ვიღაცამ აქაური ბორანი აუშვა და მტკვარს გაატანა, რომელმაც ს. ხიდისთავის ბოლოზედ გარიყა იგი. ხალხი ძლიერ შეწუხებულია ამის გამო.

⁂ სოფელ საგარეჯოს მცხოვრებელმა ბედიაშვილმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ეს რამდენიმე ხანია ჩემი სიძე დიმიტრი სოფრონის ძე ზაგორიანსკი, რომელიც ახტალის სპილენძის ქარხანაში მუშაობდა, სადღაც დაიკარგაო. ზაგორიანსკის წარსულ თვეში შეურთავს ბეგიაშვილის და, მიუღია მზითვად 415 მანეთი და 215 მანეთის თამასუქიც. ჯვარის-წერის მეოთხე თუ მეხუთე დღეს საგარეჯოდგან ტფილისში წამოსულა, ცოლისათვის 100 მანეთი დაუტოვებია და უთქვამს, მალე დავბრუნდებიო. ამის შემდეგ ზაგორიანსკის შესახებ აღარაფერი გაუგონიათ. შემდეგ შეუტყვიათ, რომ ზაგორიანსკის ქარხანაში სამსახურისათვის თავი გაუნებებია.

სამეურნეო საზოგადოების კრება.

15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრება იყო დანიშნული. კანონიერი რიცხვი წევრთა $9^1/_2$ საათზედ შეიკრიბა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა საბაღოსნო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, 1898 წლის შემოსავალი ნაანგარიშევი ყოფილა 18,368 მ. 80 კ., ნამდვილად შემოსულა 20,564 მ. 80 კ.; ხარჯი ყოფილა ნაანგარიშევი 17026 მ. 85 კ., დახარჯულა-კი 24,346 მან. 35 კაპ. 1899 წლისათვის შემოსავალს მოელის სასწავლებელი 21,609 მან. 50 კაპ., ხარჯს—21,589 მან. 23 კაპ.

საზოგადოების ყურადღება ანგარიშში მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთ საჭიროებისთვის გადადებულ ფულზედ მეტი იხარჯება, როგორც, მაგალითად, განათება-გათბობისა, ჩაცმა-დახურვისთვის და სხ., და საზოგადოდ სასწავლებელზედ მეტი მიდის, ვიდრე შეძლება აქვსო. ა. ბ. ევანგულოვმა სთქვა, რომ საბაღოსნო სასწავლებლის დანიშნულება ის არის, რიგიანი მუშები მოამზადოს და ჩვენ-კი ამის ნაცვლად ერთობ ვანებივრებთ მოსწავლეებს და როცა ცხოვრებაში გადიან, ვეღარ იტანენ ათასგვარს გაჭირვებასო. რა საჭიროა, მაგალითად, პირველ ხარისხის პურს ვაძლევდეთ მოსწავლეებს, როცა ამისთვის არც შეძლება გვაქვს და არც სასარგებლოა სამერმისოდ ეს იმათთვისაო. ის არა სჯობია, პირველ ხარისხის ნაცვლად მე-3—4 ხარისხის პური ვაძლიოთ, რადგან ამით სასწავლებელსაც ნაკლები ხარჯი მოუვა და მოსწავლეებსაც აღარ გაუძნელდებათ იმ ათასგვარ გაჭირვების ატანა, რომელსაც ცხოვრება უმზადებთო. ბ-ნს ევანგულოვს ხარჯის შესამცირებლად, სხვათა შორის, საჭიროდ მიაჩნია, ფურნე გაიხსნას თვით სასწავლებელში და არა გარეშე ჰყიდულობდნენ მოსწავლეებისთვის პურს. სასწავლებელს თუ საკუთარი ფურნე ექმნაო, ჰსთქვა მან, გარდა იმისა, რომ ასის თუმნით ნაკლები დაიხარჯება, იმ მხრივაც კარგია, რომ მოსწავლეები დაზოგვასა და წესრიგს შეეჩვევიანო.

სხდომის დასასრულს საბაღოსნო სასწავლებლის მზრუნველის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა ფიგუროვსკიმ მოახსენა საზოგადოებას, რომ სამიწად მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტისაგან ქაღალდი მივიღე, რომელშიაც დეპარტამენტი მთხოვს, ჩემი მოსაზრებანი ვაცნობო ქალების სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებაო. ბ-ნმა ფიგუროვსკიმ სთხოვა საზოგადოების წევრთ, იქნებ თქვენი აზრი გამოსთქვათ ამ საგნის შესახებაო.

წერილი ირკუტსკიდგან

რაც რკინის გზა გაკეთდა და მატარებლებმა მიმოსვლა დაიწყო, ქ. ირკუტსკში საშინლად გაძლიერდა ვაჭრობა და ფასებმაც დაიკლო სუყველა მიზიდულ საქონელის სხვა და სხვა სავაჭრო საქონლისამ. შორის შეჰხვდებით ჩვენებურს ღვინოს და

ფელეტონი

ორიოდე სიტყვა ცხენისა და საქონლის ქურდობა-ავაზაკობის შესახებ.

(მეგობართან მიწერილ წერილიდგან ამოწერილი).

(დასასრული *)

ხალხი, დაჩვეული თოფ-იარაღის ხმარებას, თუ არ არის, ან არ იქმნება გართული რაიმე მის ნიჭის შესაფერ საქმითა, უთუოდ იმ გზას დაადგება, რომელსაც დღეს აბხაზნი და ქისტნი ადგანან.

„შამილობა“ რომ გათავდა, გამიგონია, ნაიმებად ნამყოფებმა ატეხილი თარეშობა დაიწყეს თურმე. განსვენებულმა თ. ლევან მელიქიშვილმა, დიმიტრი ჯორჯაძის რჩევით, მხოლოდ ამითი მოუღო ბოლო იმათ თავ-გასულობას, რომ ლეკებისაგან ლაშქარი (დრუჟინა, დაღესტნის რაზმი) შეადგინა და ეს ნაიმებად ნამყოფნი უფროსებად დანიშნა,—უსაქმო ხალხს საქმე გაუჩინა, დააყენა გზაზედ და მით მოსპო დაღესტანში ავაზაკობა. დღეს დაღესტანელები სამაგალითო დამცველნი არიან სიმშვიდისა, წეს-რიგისა. მე ვიცნობ ბევრ ქისტ-ჩაფარს. არც ერთი მათგანი სამსახურის დროს არ არის შემჩნეული ცხენის ქურდობაში. ქისტი ჩაფარი სამსახურში დაუფასებელია: მარდია, დაუზარებელი, მოხერხებული, აღმსრულებელი, თავაზიანი, ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმულ-დახურული, კარგის ცხენის მყოლი, მშვენიერის თოფ-იარაღის მქონე. მაშასადამე, ცხენის ქურდობა ქისტის სისხლის თვისება არ არის, იგი გარეგანი ხაირცმეტია, რომელიც ადვილად შეიძლება მოაშოროს მცოდნე ჯარა-ექიმმა.

ყველაფერს მოფიქრება უნდა, გულ-მტკივნეული გამოკვლევა ყოველგვარ გავლენის მიზეზისა, ადამიანის მიერ ასე თუ ისე ჩადენილ მოქმედებისა, ყოფა-ცხოვრებისა, და არა ხეპრულად წამოროხვა: „ესა და ეს ხალხი, როგორც არ-შემთვისებელი განათლების ნაყოფისა, მიმდევნი დედის მუცლიდგანვე ქურდობა-ავაზაკობისა, განდევნილ, ამოწყვეტილ უნდა იქმნას და იმისს ადგილას სხვა კულტურიანი ხალხი დასახლებულიყო“. უვარგისი დედამიწის ზურგზედ არა არის-რა. სუყველაფერი გამოსადეგია, სასარგებლოა, თუ კი იცი მისი გამოყენება, მოხმარება. ცოტა მაგალითია, რომ აწ დიდად სასარგებლო და გამოსადეგი ჩვენ მამაპაპათა გამოუსადეგად, ხშირად მავნებლადაც მიაჩნდათ?! საუკეთესო და საიმედო ნაწილს შამილის ლაშქრისას შეადგენდნენ ქისტ ჩაჩანნი. ეს ხალხი რომ უვარგისი, გამოუსადეგარნი ყოფილიყო, შამილი ისეთი სულელი და გამოუცდელი სარდალი არ იყო, რომ იმათგან შეედგინა ლაშქარი და მინდობოდა. მაშასადამე, ეს უბედური ხალხი, აწ ასე სახელ-გატეხილი, ოდესმე გამოსადეგი, სასარგებლო ვისთვისმე და რისთვისმე ყოფილა! რატომ ეხლა არ შეიძლება იმათის ნიჭით ვისარგებლოთ და დავაყენოთ იმ გზაზედ, რომელსაც მოითხოვს მათი ნიჭი? ყოველ კაცს ხომ ერთნაირი ნიჭი არა აქვს! აქოდა მუსიკალური სმენა არა მაქვს, ის დასკვნა ხომ არ შეიძლება გამოიყვანო, რომ სრულიად ამ ქვეყანაში, ცხოვრებაში უვარგისი, გამოუსადეგარი ვიყო?! დიდი ნაპოლეონი ვერაფერი მემუსიკე და მომღერალი ბრძანდებოდა, მაგრამ დღესაც, როგორც სარდალს, ცალი არა ჰყავს... ჩვენის მიუხვედრელობის, უცოდინარობის გამო რამდენ ძალა-ღონეს და ნიჭს უბრალოდა ვკარგავთ!... ერთ ადგილას გრ. ლ. ტოლსტოი ამბობს: „ჩემი სახლი წრყილებით რომ იყოს სავსე, სისულელე იქმნებოდა ჩემის მხრივ,ვსცდილიყავ თითო-თითოდ დამეჭირა რწყილი. ბევრად უფრო ადვილი იქმნებოდა ჩემთვის, რათა განვთავისუფლებულიყავი ამ საძაგელ მწერისგან, გამომეგავა და გადამეყარა ყოველ კუნჭულიდან ჩემის სახლის ტალახი, ნაგავი. მაშინ რწყილებიც თვით გასწყდებოდნენ''. თვით ჭეშმარიტება ჰლაღადებს ბ-ნ ტოლსტოის ბაგით: თითო ქურდის, ავაზაკის გადაკარგვით, დახოცით რა გამოვა? უნდა მოისპოს, გაიგავოს ის ნაგავი, რომელიც ჰბადავს, აჩენს, აცხოვრებს ამ რწყილს—ცხენისა და საქონლის ქურდობას: მავნე ადათი, უგზო-უკვლობა, სოფლის განფანტულობა, უსაქმობა, სიბნელეში ყოფა-ცხოვრება.

უსაქმოდ მატანტალა ახალგაზდობას გაუჩინონ იმათ ნიჭის შესაფერი საქმე, სამსახური და ამგვარად ააცდინონ მომავალი ახალთაობა მათ გავლენას, ყოველ ჟამს მათ ყურებას და მათ სამარცხვინო მოქმედების ქცევის მიბაძვას. მე რო შემეძლოს და უფლება მქონდეს, სწორედ ამგვარ ხალხისგან შევადგენდი ცხენის ლაშქარს—ქვეითებად ესენი არ ივარგებენ,---მივცემდი კარგ ლამაზად აჭრელებულს ტანისამოსს: გაუნათლებელ ხალხს ჰკუა თვალებში აქვს,—დავუნიშნავდი კარგ გამოცდილ სარდალს და მიუსევდი ქიარიმ-მიარიმ-მურსაყულოებს: სულ ბრეს გაადენდნენ! მხოლოდ ესენი, ყველგან გამოსადეგნი, არ ივარგებენ თავისს სამშობლოში—ქისტეთში: თავისიანები ბევრი ჰყავთ, სისხლს მოერიდებიან... ზოგიერთთა აზრით, ამ სენის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მთიდგან ბარად ქისტების გარდასახლებით. მე ამისი წინააღმდეგი ვარ. მე გარდასახლება ვისიმე და მეტადრე მთიულთა ბარად—ძალადობად მიმაჩნია, მთიული ბარში ვერა სძლებს,—პირველ ორ თაობას თუ არა, ერთს მაინც უთუოდ იმსხვერპლებს ბარის ჰავა, შეიძლება იხეირონ გარდმოსახლებულთა შვილებმა, შვილი შვილებმა, ისიც

---

*) იხ. „ივერია“ № 269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველს. ხილიც ბევრი იყიდება აქ და კაი ფასებშიაც, მაგრამ საქართველოდგან ჯერ არ მოაქვთ. ერთი ბოთლი ღვინო შუა ღირსებისა ჰფასობს მანეთ ნახევარი, ყველი (ჩვენებური) გირვანქა—ათი შაურია, ვაშლი გირვანქა—შვიდი შაური, ყურძენი თოთხმეტი შაური და სხვა.

ირკუტსკში ას კაცამდე არის ქართველი, რომელნიც მომეტებულ ნაწილად სასამართლოს გარდაწყვეტილებით არიან გამოგზავნილნი. ქართველები უმთავრესად ალებ-მიცემობას მისდევენ: ჰვაჭრობენ ღვინით, არაყით, ლუდით და სხ. ბევრი აქაური ქართველი აღარ ჰბრუნდება საქართველოში, თუმცა თავისუფალნი არიან და ნება აქვთ შინ დაბრუნებისა, ამის მიზეზი ის არის, რომ კარგი ვაჭრობა აქვთ ირკუტსკში.

წარსულს აპრილში თოფით მოკლულის იხვის ბაიკლის ტბიდგან გამოსატანად ნავით შესულიყო სასტუმროს პატრონი ლავრენტი ალექსის ძე ნოდია და რადგან ნავი გახვრეტილი ყოფილიყო, შეუმჩნევლად გავსილიყო წყლით და ტბაში ჩაძირულიყო. ნოდიასთვის ვეღარავის ეშველა და დაღუპულიყო. ნოდიას ნათესავებმა ეს ამბავი არ იციან ჯერ და კარგი იქნება ეხლა მაინც გაიგებდნენ.

ვანო რჩეულიშვილი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ოქონი, (ქართლი). ოქონის საზოგადოებას 29 სოფელი შეადგენს, რომლებშიაც 1200 კომლამდე თავადაზნაურია, დროებით ვალდებული გლეხი და ხიზანი ოსები. აქაურ მკვიდრთა შორის საკმაოდ ბევრნი არიან რიგიანად განათლებულნი, ქალნი თუ კაცნი. უფრო თავადიშვილთაგან, რომელთაც ბევრი კარგი საზოგადო საქმის გაკეთება ძალუძთ და დიდი შეღავათი შეუძლიათ მისცენ ხალხს, მაგრამ როგორღაც არ არიან ერთად დაკავშირებულნი, არა აქვთ ერთობა, ერთ-სულოვნობა; არ ეკარებიან თავიანთ სოფლებს და თავიანთ სიცოცხლეს ატარებენ ქალაქ-ადგილებში. აქაურ ინტელიგენციას არა აქვს ერთი საზოგადო საქმე, მას ვითომ კიდეც გაუღვიძნია, თვალი აუხელიაო, მაგრამ ადგილიდგან ჯერ ვერ იძვრის, გაქვავებულა და თითქოს ისევ ძილს ეპირებაო. სწორედ ამითი აიხსნება, რომ ოქონის საზოგადოების არც ერთს სოფელში ერთი პირველ-დაწყებითი სკოლაც არ მოიპოება, თითქოს აქაურის ხალხისათვის საჭირო არ იყოს წერა-კითხვის ცოდნა მაინც, თუ სხვა არა ეცოდინება რა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ ხომ ლაპარაკი მეტია; როცა სკოლა არ არსებობს, სამკითხველოსთვის ვინ იზრუნებდა, მაგრამ ყველაზედ უფრო გასაკვირალი ის არის, რომ ოქონის საზოგადოების სამმართველოს თავისი საკუთარი შენობა არ აქვს.

ჩვენს სოფლებში წელს კარგი მოსავალი იყო პურისა, ქერისა და სიმინდისა. ვენახები შარშანდელ ზამთრის ყინვების გამო თითქმის ორი წელი მოსცდა. საქონლის ჭირი მძვინვარებს სოფ. კნოლეში.

რაჭის მაზრის პოლიციამ შეიპყრო აქაური გამოჩენილი ქურდი ბითარაშვილი. ბითარაშვილები არიან სამნი ძმანი; სცხოვრობენ სოფ. თილვაში და მათს ხელობას შეადგენს საქონლისა და ცხენების ქურდობა. როგორაც ქურდობენ ისინი, ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს. ამას წინად სოფ. თამარაშენში ხუციშვილმა დაჰკარგა ოცთუმნიანი ერთი უღელი კამბეჩი. ხუციშვილი მაშინვე ბითარაშვილებთან წავიდა და სთხოვა კამბეჩები დამეკარგა, ოღონდ მიპოვნეთო და ხუთს თუმანს მოგართმევთო, იმანაც მიიღო ხუთი თუმანი და დაჰპირდა, გიპოვნიო. მესამე თუ მეოთხე დღეს რონის ჭალაში ხუციშვილმა ერთი კამბეჩი იპოვა; მეორე-კი არსად ჩნდა. წავიდა ისევ ბითარაშვილებთან და სთხოვა მეორე კამბეჩიც მიპოვნეთ. ბითარაშვილმა უთხრა, სამი თუმანი კიდევ მომიტანე და გიპოვნიო. რას იზამდა ხუციშვილი, სადაც იყო უშოვნა სამი თუმანი და მეორე კამბეჩიც დაიბრუნა. აი კიდევ მეორე მაგალითი: ამ გაზაფხულზედ ბითარაშვილებს სტუმრები ჰყავდათ. სტუმრებს ხარი დაუკლა და კარგად გაუმასპინძლდა. ვნახოთ სწორედ ამ დროს ერთი კაცი მოდის და ეუბნება ბითარაშვილს: ხარი დამეკარგე და თუ ღმერთი გწამს, მიპოვნე და, რასაც შემომაკვეთავ, აგისრულებო. ბითარაშვილმა უპასუხა: კარგი, ვნახოთ, შენ დაჯექი და პატარა პური შეჭამე და მერმე მაგაზე ვილაპარაკოთ. ეს კაცი დაჯდა, დანაყრდა და პატარა კიდეც გადაჰკრა. პურის ჭამა რომ გაათავა, იქვე თავისი ხარის ტყავი შენიშნა და სახტად დარჩა. ბითარაშვილმა დამცინავის კილოთი უთხრა: ნათქვამია, „თხის პატრონს თხის კუდიც არ ერგოსო და შენ ხომ ეგ ერთი კერძი მაინც გერგოო". ხარის პატრონი რაღას ეტყოდა, ადგა და თავჩაქინდრული დაბრუნდა თავისის სახლში. პოლიციისთვისაც არ გამოუცხადებია ეს ამბავი, რადგან კარგად იცოდა, რომ არა გამოვიდოდა-რა. ერთის სიტყვით, აქ ვისაც რამ დაეკარგება, პოლიციას აღარ ატყობინებს, პირდაპირ ბითარაშვილებთან მირბის, ფულს აძლევს და დანაკარგს უკანვე იბრუნებს. ადგილობრივ ადმინისტრაციას, ვგონებთ, უნდა სმენოდეს ბითარაშვილების ყოფა-ქცევა. მადლობა ღმერთს, ეხლა რაჭის პოლიციამ შეიპყრო ქურდობისათვის ორნი ძმანი ბითარაშვილები. ძლივს ეღირსა ხალხს ამათგან განთავისუფლება. დიდ მადლობას უძღვნის ოქონის საზოგადოება რაჭის პოლიციას.

ენკენისთვეში არაგველებმა ღორები მორეკეს რკოზედ და წიფელაზედ სათავადიშვილო ტყეში. საგურამოდგანაც მოვიდა დიდძალი ღორი. სულ ერთად სამი ათასი ღორი იქნებოდა. მეღორეებს საშინელი ცუდი ამინდი დაუდგათ, ღორმა ვეღარ იმუშავა ტყეში და უჭმელობისა გამო იხოცებოდნენ. ტყიდგან სოფლებში ჩამორეკეს ღორი: ძაღინასა, თერგვასნსა და ხტანაში, მაგრამ აქ უფრო უარესი დღე დაადგათ. სოფლელი ოსები, ქალი და კაცი, მიესივნენ მეღორეებს და ძალდა-ძალ სტაცებდნენ ღორებს. რა უნდა ექნათ მეღორეებს, ადგნენ და შინისაკენ გარეკეს ღორი. გარდა ამისა იმ კორიანტელში და არეულობაში ბევრმა აქაურმა ოსმა ჩუმად მოსწყვიტა ღორის ფარას ორმოცობით და სამოცობით ღორი. ეხლა ყველა ოსს უჩნდება თერგვასნსა, ხტანასა, ძაღნასა და მუხაურში სამ-სამი, ოთხ ოთხი ღორი, და მიჰყავთ გასასყიდად. ამ საქმისთვის არც ბოქაულსა და არც მამასახლისს ჯერ ყურადღება არ მიუქცევია.

დ—კო

უცხოეთი

—

საფრანგეთი. როგორც გაზეთები იუწყებიან, საფრანგეთში ახალი მოღალატენი აღმოუჩენიათ. დატუსაღებულნი არიან: დეკრიონი, რომელიც მთავარ შტაბის საიდუმლო ბიუროს აგენტი ყოფილა და პარიჟის პოლიციის პრეფექტურაში მსახურობდა; ფეთფებელი გრუ, არტილერიის კაპრალი, რომელსაც დეკრიონისათვის უნდა ეშოვა ახალი გამოგონილ თოფისა და ზარბაზნის ნიმუშები; და ორი ახალგაზდა კაცი—ბონასე და ლერენდო, რომელნიც, უთუოდ, დეკრიონის თანაშემწენი იყვნენ. პირველად დეკრიონის მამას სახლი გაუჩხრეკიათ რეიმსში, სადაც ყუთი უპოვნიათ ფრიად შესანიშნავ საბუთის ქაღალდებით. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაუტუსაღებიათ დეკრიონ-შვილი პარიჟში.

დეკრიონი არტილერიის მოსამსახურე ყოფილა, საიდგანაც 1889 წელს დაუთხოვიათ. ამის შემდეგ ის პარიჟში დასახლებულა როგორც ელექტრო-ტეხნიკის მცოდნე. ამტკიცებენ, რომ დეკრიონი ჯაშუში იყო გერმანიის მთავარ შტაბისა, რომელსაც ძლიერ სურდა გაეგო საფრანგეთში ახლად გამოგონილ ზარბაზნისა და მისი ყუმბარის საიდუმლოებაო. ზოგიერთი გაზეთები იმასაც-კი ამბობენ, ვითომც დეკრიონისა და დრეიფუსის საქმეს ერთმანეთთან კავშირი რამ ჰქონდესო.

—

ჩინეთი. ამას წინად ჩინეთის ქვრივ დედოფლის დღეობა იყო და სასახლეში დიდ სახელმწიფოთა ელჩების ცოლები იქმნენ მიწვეულნი. ეს პირველი მაგალითი იყო ჩინეთში და ამიტომ ამ გარემოებას ძლიერ დიდს მნიშვნელობას აწერენ გაზეთები. „Daily News"-ი ამბობს, რომ ჩინეთის კარჩაკეტილობას ამის შემდეგ ბოლო მოეღება, რადგან ელჩების ცოლებმა ფეხი შესდგეს იმ სასახლეში, რომელიც ევროპიელთათვის დღემდის მიუვალს ადგილს შეადგენდაო. გაზეთის სიტყვით, მხოლოდ პირველი ნაბიჯი არის ძნელი, თორემ შემდეგ ყველაფერი თავისს რიგისა და წესზედ წავა. ორი სამი წლის განმავლობაში პეკინში ყოველივე საიდუმლოება გაჰქრება და ახალი ჩვეულება და გემოვნება მოიკიდებს ფეხსო. „Daily telegraph"-ი იმ აზრისაა, რომ ევროპიელ ქალების სტუმრობას ჩინეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში, ვინემ სხვადა-სხვა უფლების დათმობას ევროპის სახელმწიფოებისათვის.

—

არაბეთი. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ იემენში დიდი არეულობა არის და ეს გარემოება გზა-კვალს აურევს ოსმალეთის მთავრობასო. ეხლახან მოსულის ცნობებით, იემენის არეულობა თანდათან საშიშს ხასიათს ღებულობს, რადგან მეამბოხეთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს. მეამბოხეთ მეთაურობს თურმე ვიღაც მაჰმედ გამედი, რომელსაც ისე ძლიერ დიდი გავლენა ჰქონია მეამბოხეებზედ, როგორც მაჰდის ჰქონდა სუდანში.

დამაკვირდი

ცრემლი დედაკაცისათვის ნაღველის შემსუბუქებაა, მამაკაცისათვის—წამება.

ბაირონ

* *

მარტო სარწმუნოება ვერ აცხონებს კაცსა, თუ კეთილი საქმე არა აქვს.

ეპისკოპოსი გაბრიელ

* *

უმტკიცეს გიჩნდიან ცნობაჲ უფროს ბედისა, რამეთუ ბედი ცუდ საქმეთა ბორგა არს, ხოლო ცნობაჲ არს ყოვლისა საჭეთმპყრობელ.

ნიკოლოზ ტფილელი

მაშინ, თუ ბარი ჰავით მთასა ჰგავს. ერთის ბეითალის მოხსენება მომაგონდა: საქონლის ჭირის მოსასპობად გაგზავნილმა ბეითალმა მისწერა მოხსენება თავისს უფროსს: „მოვსპე სრულად ამა და ამ სოფელში ჭირიო: ერთი საქონელი აღარ არის სოფელში—ზოგი ჭირმა დახოცა, ზოგი მეო. „ვსიო ბლაგოპოლუჩნოო". რაკი საქონელი აღარ იქმნება, ჭირი ვიღას ეცემა?! არარაიდგან არა-რა იქნება—Ex nihilo nihil! „ბლაღოპოლუჩნობაა"—მარა ჯანდაბაა!..

1835 და 1853 წ. ზოგიერთნი თიანეთის მაზრის ქისტები გარდმოასახლეს პანკისის ხეობაში, თიანეთისვე მაზრაში, დუის-სოფელსა და ჯოყოლაში. პირველი თაობა პირველ ხანშივე თითქმის სრულიად ამოწყდა, დღეს, მათი შვილი-შვილიშვილები სცხოვრობენ ამ სოფლებში, თუმცა ესენიც სნეულობენ: ვერ იტანენ ჯერ კიდევ იქაურ ზაფხულის სიცხეს, კახეთში ხო ვერც ესენი, ვერც ხევსურნი სრულიად ვერა სძლებენ; ხევსურნი კიდევ ფეხს იკიდებენ ერწო-თიანეთში, რომელიც მდებარეობითა და ჰავით მთასა ჰგავს. მართალია, გარდმოსახლებულთა, ბარათ მცხოვრებ ხევსურთა და ქისტთა და მთიულთა შორის დიდი განსხვავებაა.—პირველნი ბევრად წინ სდგანან მეორეებზედ, მაგრამ აქედგან მაინც ის უტყუარი დასკვნა არ შეიძლება გამოვიყვანოთ, რო გარდასახლებით, სამშობლოდგან მოშორებით ეს საძაგელი სენი—ცხენის ქურდობა—მოისპობაო! ეს ისევ თითო რწყილის დაჭერაა. პირიქითელი ქისტები (კავკავისა და გროზნის ოლქისანი) დიდი ხანია მთიდგან ჩამორეკეს ბარში, მინდორში, მაგრამ დღესაც თავისას არ იშლიან?! თუმცა-კი ესეც უნდა ითქვას—არც იმათი მეზობელნი—ყაზახები არ დაუვარდებიან ამ ხელობაში იმათ, თუ არ აჯობებენ კიდეც: ხშირად სახელია ამ უბედურ ქისტთა და სახრავი-კი სხვისა... გარდმოსახლებით შეიძლება დროებით წყლულს პირი შეეკრას, მაგრამ იარა-კი შიგნით იმუშავებს და გვიან თუ ადრე პირს იჩენს და მაშინ უფრო ბევრად ძნელი იქმნება მისი მორჩენა, შეკვრა პირისა. მოსაწონი და სასარგებლოა ის წამალი, რომელიც მთელს სხეულს არავითარს ვნებას არ მისცემს, განათავისუფლებს სენისაგან, არ იძულებულ ჰყოს, რომ რომელიმე ანუ რამდენიმე მისი ასო მოკვეთილ იქმნას... მე ვგონებ, თუ კი აღსრულებაში მოყვანილ იქმნება ჩემი წინადადება, შეიძლება მთიულნი თავ თავიანთ ადგილას დატოვებულ იქმნენ და იმ წყლულისაგან, რომლითაც ისინი დღეს იტანჯვიან და სტანჯავ-აბეზრებენ თავის მეზობლებს, განთავისუფლდნენ უზარალოდ. დიდად და დიდად შესაძლებელია ვცდებოდე, მაგრამ მე არც თავი მომაქვს, რომ ჩემი აზრი თვით ჭეშმარიტებაა მეთქი: ღმერთმა დამიფაროს ამ სისულელისაგან! მე ჩემი აზრი გამოვსთქვი, ჩემო კარგო ფიდო, ახლა შენ, სხვამ ვინმემ წარმოთქვას თავისი და, იქმნება გამოჩნდეს ვინმე მადლიანი კაცი, და ეს წყლული მოაშოროს ხალხსა, განათავისუფლოს მისგან უტანჯველად, უსისხლოდ, უზარალოდ. სხვა და-სხვა აზრისაგან, ნათქვამია, იბადება ჭეშმარიტებაო; მაგრამ ყოველი ესე უნდა იქმნას sine ira et studio, თორემ რაკი ერთი ერთმანეთს აბუჩად ავიგდებთ, ლაფის დასხმას მოვყვებით, ეს ხომ ლანძღვა-თრევა გამოვა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ადამიანთა შორის ბაასის დროს... Fecio, quod potui, meliori fecit და სხ.—მე ეს შევძელ, ვინც უკეთ, მეტს შესძლებს—ბურთი და მოედანი მას!

წვრილმანი და გაფანტული სოფლები რომ მოხერხდეს როგორმე და მოისპოს, შეერთდეს*), და სოფლები შეერთებულ იქმნას ფართო საურმე გზა-ტკეცილით, გაკეთდეს მდინარეებზედ სანდო, მკვიდრი, განიერი ხიდები, მაშინ ქურდ-ბაცაცებს აღარ ექმნებათ თავის შესაფარებელი ბინა, მდევრის გამოდგომა სოფლიდგან სოფლამდისინ უფრო გაადვილდება, შესაძლო გახდება სოფლებზედ მუდმივი ყურადღების მიქცევა, საზოგადოებას ბევრად უფრო მეტი ძალ-ღონე მიეცემა ქურდებთან ბრძოლისა. თორემ რა ჰქმნას ეხლა სოფელმა, რომელიც ორის კომლისაგან შესდგება,—განშორებულია სხვა სოფლებს კარგა დიდ მანძილზედ და გზებიც არ უვარგა,—უცბად რომ თავს დაესხას ხუთი-ექვსი კარგად შეიარაღებული კაცი და მასპინძლობა მოსთხოვოს? გაუძალიანდეს? რით, როგორ, ვის იმედით? ვიდრე მიეშველებიან, თუ-კი იმ დროს მიშველება შესაძლებელი იქმნება, ხანი გავა, ძალად სტუმარნი თავისის გულის წადილს შეისრულებენ და თავისს გზას გაუდგებიან. აბა როგორ არ მისცეს ბინა, სასმელ საჭმელი? ხო სულ დედა-ბუდიანად ამოსწყვეტენ ეს ეხლანდელ დროის რაინდნი, გადასწვამენ და დაანელებენ ამ უბედურთა!..

ამ გვარ დიდ სოფლებში შეიძლება და უნდა უსათუოდ დაარსდეს კიდევ ორისავე სქესის ბავშვთათვის სასწავლებლები.

სასწავლებელი ისეთი უნდა იყო[illegible] რომ იქიდან ყმაწვილი ცხოვრებ[illegible] გამოსადეგ სწავლა-ცოდნით აღ[illegible]ვილი გამოდიოდეს. სასწავლებელი უნდა ჩაჰბარდეთ მ[illegible]ლა განათლებულ მასწავლებელთ, რომელნიც თავისის სწავლა-განათლებით, ცხოვრებით [illegible] მაგალითით და სარგებლობა[illegible] მისცემენ ხალხს. მართლ-მადიდებელ სოფლებში—ამას გარდა—დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რო მღვდლებათ დანიშნულნი იყვნენ ნამდვილნი სულიერნი მამანი... ნახვამდის*)!

შენი ავთანდილ ავთანდილისძე

---

*) შესდგეს თითო სოფელი არა ნაკლებ ასის კომლისა.

*) ვბეჭდავთ რა ამ წერილს, პატივცემულ ავტორის ზოგიერთს აზრს არ ვეთანხმებით. რედ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

აგერ ორი ათასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ქვეყანაზე გაისმა ქადაგება მაცხოვრისა, რომელიც ხალხს ასწავლიდა მშვიდობიანობას, სიყვარულს, თავ-განწირვას. მერე დამყარდა-კი ქვეყანასა ზედა მშვიდობიანობა და სიყვარული? მოიტანა განა ნაყოფი თესლმა სიყვარულისამ, რომელიც უხვად დასთესა მაცხოვარმა? სამწუხაროდ, ეხლაც კაცობრიობა წყვდიადში დადის და გზა ვერ გაუგნია. სად არიან ეს გმირნი თავდადებულნი სიყვარულისათვის? ეხლაც, როგორც ამ ორის ათასის წლის წინად, ხალხი დაეძებს სიმართლეს და ვერ უპოვნია. ეხლაც, მრავალი კაცი მძებნელი სიმართლისა, დიოგენივით ფარნით ხელში დაეძებს სიმართლეს.

სწორედ ასეთს დიოგენს წარმოადგენს საფრანგეთის აკადემია. აკადემია გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს მთელს საფრანგეთს და სცდილობს აღნიშნოს ყოველივე, რასაც-კი პატიოსნობისა და კაცურ-კაცობის ნიშანწყალი ატყვია. მთელ წელიწადს აკადემია ჰკრებს საჭირო ცნობებს და წლის გასულს შეატყობინებს ქვეყანას.

წელს ასეთი მოხსენება წაიკითხა საფრანგეთის აკადემიაში სახელოვანმა მწერალმა პიერ ლოტიმ. ამ მოხსენებამ დაამტკიცა, რომ საფრანგეთში კიდევ არის სათნოება და კაცური კაცობა. მართალია, ამ სათნოებასა და კაცობას ძლიერ ძნელად შეჰხვდება კიცი საფრანგეთის დიდ-კაცობაში და მაღალ-საზოგადოებაში, მაგრამ ყოველივე ეს კიდევ მოიპოვება უბრალო ხალხში, რომელთა შორის ჯერ ძლიერ არ გავრცელებულა ის შხამი, რომელიც, საუბედუროდ, თან დასდევს ეხლანდელს ცივილიზაციას. ამ გმირებს ხშირად ჯანსაღობაც-კი აკლიათ, პურიც არა აქვთ და ძლივს იბრუნებენ სულსა. არიან მათ შორის მოხუცნი, ყოვლად უძლურნი, მაგრამ იმდენი ძალ-ღონე კი აქვთ, რომ სხვას მიანიჭონ ის სიკეთე, რაც თითონ არ მოეპოვებათ! ასე ლაპარაკობდა პიერ ლოტი და მთელი აკადემია და აუარებელი ხალხი ყურადღებით ისმენდა იმის საუბარს.

აკადემიამ დააჯილდოვა თვრამეტი მოხუცებული მსახური დედაკაცი, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს თავიანთ ბატონებს. ამბავი ამ მსახურ დედაკაცთა თითქმის ერთი და იგივეა: ყველა მათგანმა ჯერ ისევ ახალგაზდობის დროს დაიწყო სამსახური თავიანთ ბატონებთან და როდესაც ბატონებს უბედურება შეემთხვათ, თავი-კი არ დაანებეს, პირ-იქით სცდილობდნენ დაჰხმარებოდნენ იმათ. მომხდარა ისიც, რომ დიდის ხნის სამსახურით შეძენილ ფულით დაჰხმარებიან თავიანთ გაჭირვებულ ბატონებს. ბევრი მათგანი ლამაზიც იყო, ახალგაზდაც, მაგრამ თავისი ბედნიერება შესწირეს თავიანთ ბატონებს.

აკადემიამ ყველა ამათ ჯილდოდ დაურიგა ფული.

* *

საფრანგეთის ჟურნალში (Science pour touts) დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო ამბავი. 1636 და 37 წლებში ჰოლანდიის ქალაქ ნიმვეჰენში შავი ჭირი გავრცელდა. იმავე დროს ამ ქალაქში სცხოვრობდა ნასწავლი მკურნალი ისბრანდი დიმერბრუკი. ეს მკურნალი მთელის ორის წლის განმავლობაში, ვიდრე იქ შავი ჭირი მძვინვარებდა, მხნედ სწამლობდა ავადმყოფებს, მაგრამ თითონ ასცდა ეს სენი. ეს მკურნალი ამტკიცებდა, მხოლოდ იმის წყალობით გადავრჩი სიკვდილს, რომ ძლიერ ბევრს თამბაქოს ვსწევდი. თამბაქოს სუნი, ამტკიცებდა ეს მკურნალი, საუკეთესო წამალია შავის ჭირის წინაალმდეგ. მთელ დღეს თამბაქოსა სწევდა. ხოლო თუ ეჭვი ჰქონდა, შავი ჭირი შემხვდაო, მაშინ უფრო უმატებდა თამბაქოს წევას. ერთხელ ეს მკურნალი შავის ჭირით ავადმყოფ ნოტარიუსთან მივიდა. შევედი თუ არა ავადმყოფის ოთახშიო,—სწერს ეს მკურნალი,—იმ წამსვე ისეთი სუნი მეცა, რომ გული ამერია და გულის ფრიალი ამიტყდა. დავრწმუნდი, რომ ეხლა-კი უეჭველად შავი ჭირი შემხვდა, წამოვედი სახლში, ხუთი ექვსი ჩიბუხი მოვწიე და სრულიად კარგად შევიქენი. ვიდრე შავი ჭირი მძვინვარებდა ჩვენს ქალაქში, ხუთი-ექვს ჯერ გავხდი ასე ცუდად, მაგრამ ყოველთვის თამბაქოს ბოლმა მიშველა.

გამოსადეგი ცნობა

ხშირად ბოსტნეულს და ნამეტნავად კომბოსტოს სხვა-და-სხვა ჭია ჰხვევს და აფუჭებს. ამას თურმე ერთი ცოტად თუ ბევრად უებარი წამალი ჰქონია, ძალიან იეფიცა და ადვილად მოსამზადებელი. აი იგი წამალი: აიღეთ დამწვარი ქვა-კირი და გაშალეთ წყალში და თითვეულს ფუთ ნახევარზე მიუმატეთ თითო ლამბაქი კარბოლის სიმჟავე (карболовая кислота). როცა კირი გაშრება, იგი უნდა დაფხვნათ და ფქვილად აქციოთ. ეს ფქვილი უნდა მოაყაროთ იმ ბოსტნეულს, რომელსაც ჭია და მატლი ახვევია.

დეპეშა

16 დეკემბერი.

პეტერბურგი. ბიულეტენი დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულის ჯან მრთელობის შესახებ: დიდი მთავრინას ჯან-მრთელობა კმაყოფილია. ახლად დაბადებულის კვება წესიერად მიმდინარეობსო.

პარიჟი. მთავრობამ აუწყა პალატას დრეიფუსის საქმის შესახები საიდუმლო ბარათები. კაპიტანი კინიე ყოველ დღე წაიღებს პალატაში საბუთის ქაღალდებს და შემდეგ უკანვე დააბრუნებს.

ხელ-მოწერილ იქმნა დეკრეტი კონსტანისა და ჟიუსსენის ელჩებად დანიშვნის შესახებ, პირველისა—კონსტანტინეპოლში, ხოლო მეორის კაპენჰაგენში.

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერი

	მყიდველისა		გამყიდველისა		გარიგებისა	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	—	„	—	„	220	
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	95		—	„	—	„
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	—	„	—	„	—	„
5% იმავე ბანკისა.	100		—	„	—	„
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	99¾		—	„	—	„
4½% იმავე ბანკისა	—	„	—	„	—	„
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	99¼		—	„	—	„
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	—	„	—	„	299¼	
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	262		—	„	—	„

წერილი რედაქციის მიმართ

ს. ალის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ბ-ნმა შიო დედაბრიშვილმა შემოსწირა ოთხმოცი მანეთის საღირალი წიგნები, მშვენიერს ყდაში ჩამჯდარი: „მოამბე“ 1894—1898 წ., „კრებული“ 1897—1898 წ., ილია ჭავჭავაძისა, აკაკისა და ყაზბეგის ყველა თხზულება, „ბნელო“, რამდენიმე მოთხრობა ნინოშვილისა, „ცეცხლითა და მახვილითა“, „ამირან დარეჯანიანი“ და სხვა წვრილმანი წიგნები, 11 მ. და 35 კ. ასეთს უხვის შემოწირულობისათვის შიო დედაბრიშვილს ულრმესს მადლობას უძღვნის მთელი ჩვენი სოფელი.

ს. ალის წიგთ საცავ-სამკითხველოს გამგე
მღ. ი. მაჭარაშვილი

განცხადებანი

კავკასიაში
ქართული წიგნებით ვაჭრობას, მთავრობის ნებართვით, ვიწყებ ამ დღიდგან. ამიტომ ვთხოვ ქართულ წიგნების გამომცემლებს თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდად დაკლებით არა ნაკლებ 20%. ადრესი: Владикавказъ, Ивану Семеновичу Месхіеву.
(5—უ.—4)

გამოვიდა მეორე წიგნი
რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა
ივანე როსტომაშვილის რედაქციით.
ფასი მთელის გამოცემისა (15 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდის, წვრილის ასოებით აღბეჭდილი)—მარტო 12 მანეთი, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნება ორივე წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზედ ასეთი ლექსიკონები ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს დააკმაყოფილებენ სავსებით, რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,—ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდენი. მესამე წიგნი ასო ვინზე გამოვა მარტის გასულს.
ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან და წერა კითხვის გამ. საზოგადოების და ბ-ნ ხიდდეკელის წიგნის მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.
(5—2)

открыта подписка на 1899 годъ
на ежедневную политич. и литературную газету
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(шестнадцатый годъ изданія)
Въ 1899 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые гады, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ. Въ газетѣ въ истекающемъ году принимали участье: К. С. Баранцевичъ, М. Гіоргидзе, И. Зурабишвили, И. Ивановичъ, Иванъ-да-Марья, Л. Кипіани, Лали, В. Лункевичъ, Монголъ, А. На—ли, А. Хах—овъ и др.
УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к. За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., полгода—4 р. для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, допускается разсрочка на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.
Подписка и объявленія принимаются: въ Тифлисѣ—въ конторѣ газеты, Барятинская ул., № 8; въ Батумѣ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисѣ—въ книжн. магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.
(3—უ.—1)

დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
სიტყვიერების თეორია
სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.
წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.
შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.
მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.
მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.
ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).
მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის 20½ თაბახს და ჰღირს
ერთი მანათი.
წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.
საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი
უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი
თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.
ფასი სამი შაური. (10—2)

დაიბეჭდა და ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:
1) **კრილოვის არაკები**, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.
2) **ამოდის, ნათდება!** და სხვ. მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.
3) **ვეფხის-ტყაოსანი**, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—10)

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (Дворц. ул. д. т. д. № 101) ისყიდება
იაფად
სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის საჩუქრად გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემული საყმაწვილო სურათებიანი წიგნები:
1, ხუმარა სპილოები . 10 კ.
2, გედები . . . . 10 კ.
3, კეთილი ძაღლი . 10 კ.
იქვე იყიდება კანვაზედ საკერი ანბანი 40 კაპ. და ჩართული (გლადით, საკერი) ანბანი 1 მ. (—ნ.—1)

როიალები

პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(42—6.—26)

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Декабря 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე